ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3012/03

გამარტივებული შესყიდვა
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად-
გადაუდებელი აუცილებლობა
CPV-15540000

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2020 წელი

„შემსყიდველი“ - **შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსი ზანდარაშვილის** სახით;
მისამართი: იურიდიული: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. #12, ფაქტიური: ქ. თბილისი, თემქა მე-9 კვ;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404482537
ტელეფონი: 2 200 122
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი - TBCBGE22, ა/ა GE58TB 7353 4360 8010 0004

„მიმწოდებელი“ - **შპს „ლაქტალის ჯორჯია“** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ერეკლე გამყრელიძის** სახით.
მისამართი: კახეთის გზატკეცილი მე-10 კმ;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404898973
ტელეფონი: 599 03 89 94
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი - TBCBGE22, ; ა/ა: GE06TB7534336060100001.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს დანართი №1-ში აღნიშნული **ყველი** (შემდგომში - საქონელი) შემსყიდველისათვის საჭირო რაოდენობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და ვადებში მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება.

1.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ით განსაზღვრულ ვადაში და ადგილზე.

1.3. **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 23 438 (ოცდასამი ათას ოთხას ოცდათვრამეტი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2. მხარეთა უფლებამოსილებებისა და მოვალეობების შესახებ

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებითა და დანართი #1-ით განსაზღვრული წესით, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ით განსაზღვრული რაოდენობით, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი და მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2.2. ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.2.1. მოწოდებულ პარტიას თან უნდა ახლდეს მწარმოებლის მიერ ან მწარმოებლის დაკვეთით გაცემული ლაბორატორიის გამოცდის ოქმი.

2.2.2. ყველი პოტენციურად საშიში ქიმიური ნაერთებისა და ბიოლოგიური ობიექტების შემცველობით, უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დასაშვებ და პროდუქტისათვის დამახასიათებელ მაჩვენებლებს (ორგანოლეპტიკური, ფიზიკურ-ქიმიური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური და რადიოლოგიური მაჩვენებლები), რის დამადასტურებლადაც მიმწოდებელი ვალდებულია მოწოდების დაწყების წინ წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული ლაბორატორიული დასკვნა/წერილი (გამოცდის ოქმით) საქონლის ორგანოლეპტიკური, ფიზიკურ-ქიმიური, მიკრობიოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენურ პარამეტრებზე კვლევის შესახებ. გამოცდის ოქმში აუცილებლად უნდა იქნას მითითებული ინფორმაცია სინესტის, მშრალ ნივთიერებაში რძის ცხიმის და მარილიანობის შესახებ.

2.2.3. მიმწოდებელი ვალდებულია მოწოდების დაწყების წინ წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული ლაბორატორიული დასკვნა (გამოცდის ოქმით), რომლითაც დასტურდება, რომ პროდუქტი არ შეიცავს რძის ცხიმის გარდა სხვა ცხიმს (მ.შ. მცენარეული ცხიმი) და რძის ფხვნილს.

2.2.4. ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ განახორციელოს საქონლის ნიმუშის აღება და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში" ან სხვა აკრედიტირებული ორგანიზაციაში შემოწმება. შემოწმებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი (მათ შორის ხარჯების ანაზღაურებას). ლაბორატორიული შემოწმების ოქმებში მითითებული მაჩვენებლებით უნდა დგინდებოდეს ხელშეკრულების ტექნიკური სპეციფიკაციით მოთხოვნილი მაჩვენებლები და პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი შესაბამისი სტანდარტებით განსაზღვრულ ხარისხის და უსაფრთხოების მაჩვენებლებს.

2.2.5. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, საკუთარი სახსრებით, ნებისმიერ დროს ჩაატაროს კვლევა თავისი შეხედულებისამებრ.

2.2.6. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარუდგინოს მას ინფორმაცია იმ პირების შესახებ, ვინც განახორციელებს უშუალოდ საქონლის მიწოდებას. აგრეთვე, იმ სატრანსპორტო საშუალებების შესახებ რომლითაც განხორციელდება საქონლის მიწოდება. აღნიშნული პირების/სატრანსპორტო საშუალების ცვლილების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ მოახდინოს შემსყიდველის ინფორმირება.

2.3. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი, მიღების მომენტში შეამოწმოს საქონლის ხარისხი, რაოდენობა და გარეგანი იერსახე.

2.4. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად.

2.5. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ურთიერთობიდან გამომდინარე უზრუნველყონ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, რაც გულისხმობს მათთვის ვალდებულებათა შესრულების შედეგად ცნობილი ინფორმაციის (ტექნოლოგიური ხასიათის საკითხები, საქმიანობის დეტალები, კომპანიის კონტრაგენტების ვინაობა, სქემები, და სხვა) გამჟღავნების დაუშვებლობას მესამე პირებისათვის.

2.6. მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ძირითადი მახასიათებლები და სხვა პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს „მიმწოდებლის“ მიერ შემოთავაზებულ პირობებს;

2.7. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი კონსოლიდირებული ტენდერის ყველა საჭირო პროვედურა დასრულდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის ამოწურვამდე.

3. საქონლის მახასიათებლების შესახებ (რაოდენობა და ხარისხი)

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების დოკუმენტებში (ზედნადები) მიუთითოს მისაწოდებელი საქონლის მახასიათებელი და ფასები წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.

3.2. მიწოდებული საქონლის მახასიათებელი და რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მიწოდების დოკუმენტში დაფიქსირებულს.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღებისას, შემსყიდველი შეამოწმებს საქონლის რაოდენობის, მახასიათებლისა და ხარისხის შესაბამისობას წარდგენილ დოკუმენტებთან მიმართებაში. მიწოდებული საქონლის ღირებულებისა და მიღების ფაქტი ფიქსირდება და დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტებითა და შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერით ზედნადებზე ან/და ა/ფაქტურაზე ან/და მიღება-ჩაბარების აქტზე. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი და არ მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტს, თუკი საქონლის რაოდენობა და ხარისხი არ შეესაბამება მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს.

4.2. საქონლის მიღებას, შემოწმებას, ანგარიშსწორებას და მონაცემების შედარებას ახორციელებს შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული) ან დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

4.4. მიმწორებლის უფლებამოსილებას საქონლის გადაცემასთან, შემოწმებასთან, ანგარიშსწორებასთან და მონაცემების შედარებასთან დაკავშირებით, ახორციელებს მიმწოდებლის უფლებამოსილი თანამშრომელი (დისტრიბუტორი, ვაიზერი, მენეჯერი, ბუღალტერი და სხვა).

4.5. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

5. ანგარიშსწორება

5.1. საქონლის ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

5.2. ანგარიშსწორება მოხდება შემდეგი წესით: „შემსყიდველი“ „მიმწოდებელს“ გადაუხდის მიწოდებული საქონლის ღირებულებას სრულად, საქონლის ფაქტიურად მოწოდებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

5.3. მიწოდებული საქონლის ღირებულების და ოდენობის სადაოდ გახდომის შემთხვევაში, ძირითად საანგარიშო დოკუმენტს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულება, „შემსყიდველის“ და „მიმწოდებელის“ ან მათი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ა/ფაქტურა ან/და მიღება-ჩაბარების აქტი და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

5.4. „შემსყიდველისა” და „მიმწოდებელს“ შორის ანგარიშსწორებამდე 5 (ხუთი) დღით ადრე უნდა მოხდეს ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტის შედგენა.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შესახებ

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:

6.1.1. შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი/თანამშრომელი ან/და დირექტორის მიერ გამოყოფილი შესაბამისი უფლებამოსილი პირი – „მიმწოდებელის“ მიერ მიწოდებული საქონლის სახეობის, ასორტიმენტის, შეფუთვის, ეტიკეტირების, ხარისხის კონტროლი, საქონლის ვარგისიანობის ვადა, მიწოდებული საქონლის რაოდენობა, მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლების შეფასება შემოთავაზებულ პირობებთან.

6.1.2. შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს - უფლებამოსილი თანამშრომელი - შეკვეთის მიცემისა და შესრულების ვადების, ასევე ხელშეკრულების სხვა პირობების კონტროლი.

6.1.3. შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს - ფინანსური აღრიცხვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარატმენტის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი თანამშრომელი - მიწოდებული საქონლის ფასის შესაბამისობა ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ფასთან.

6.2. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

6.3. კონტროლის განხორციელების ადგილია: საქონლის მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი „შემსყიდველის“ არჩევანის მიხედვით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ ვადის გადაცილება ეხება <u>საქონლის ვადაგადაცილებით მიწოდებას (მათ შორის ხარვეზის ან/და ნაკლის გამოსწორების ვადა)</u> შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, მაგრამ თითოეული ლოკაციისთვის არანაკლებ დღეში 30 (ოცდაათი) ლარისა;

7.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული <u>ანგარიშსწორების ვადის დარღვევის</u> შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ ნაწილობრივი შეუსრულებლობა ეხება <u>საქონლის მიუწოდებლობას და</u> შემსყიდველ ორგანიზაციას აღარ გააჩნია აღნიშნული საქონლის მიწოდების <u>საჭიროება/ინტერესი,</u> შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით, მაგრამ თითოეული ლოკაციისთვის არანაკლებ 100 (ასი) ლარი.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ ვადის გადაცილება ეხება <u>ლაბორატორიული დასკვნის/წერილის (გამოცდის ოქმით) წარმოდგენას,</u> შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო, თითოეული პროდუქტისთვის, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

7.5.1. თუ ლაბორატორიული დასკვნა/წერილი (გამოცდის ოქმით) წარმოდგენილია, მაგრამ არასრულყოფილია, <u>თითოეული პროდუქტის თითოეულ პარამეტრზე,</u> ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (ლაბორატორიული დასკვნის წარმოდგენამდე) ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

7.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,03%-ის ოდენობით.

7.7. უარყოფითი ლაბორატორიული დასკვნის (უარყოფითად ჩაითვლება ლაბორატორიული დასკვნა, სადაც კვლევის ობიექტის (პროდუქტის) ნებისმიერი პარამეტრი/მონაცემი არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, სტანდარტებს, ან/და წინამდებარე ხელშეკრულებას) წარმოდგენის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია პრეტენდენტს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო თუ შეუსაბამობა ეხება ისეთ პარამეტრს/მონაცემს რომელმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ტექნიკური აღწერილობით განსაზღვრული პარამეტრების დარღვევის შემთხვევაში, რომლის მიუხედავათაც შემსყიდველი ორგანიზაცია მაინც მიიღებს აღნიშნულ პროდუქტს, იგი უფლებამოსილია დააჯარიმოს მიმწოდებელი ტექნიკური პარამეტრების დარღვევით მიღებული საქონლის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7.8. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

7.9. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 3-ჯერ ან მეტჯერ დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიმწოდებელთან ხელშეკრულება.

7.10. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულებისათვის ან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს საბანკო გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და თუ ხელშეკრულებაში არ გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, პირგასამტეხლო გამოქვითოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლისთვის ასანაზღაურებელი ღირებულებიდან.

7.11. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შესახებ

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომლის გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლოვობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებოთ.

8.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ან თავისი ვალდებულებების არადროული შესრულებისათვის მთელი დროის განმავლობაში იმ გარემოებების გამო, რომლებიც წარმოიშობა მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად (დაუძლეველი ძალა). დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება: სტიქიური უბედურებები, გადაულახავი ბუნებრივი მოვლენები, ომი და ა.შ. რაც დასტურდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

9.2. მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველ ძალაზე, ვალდებულია წერილობითი ფორმით ან ინფორმაციის ელ-ფოსტის, ტელეფონის ან ფაქსის გაგზავნით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9.3. მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება აღნიშნული გარემოებების მოქმედების შეწყვეტის მომენტიდან.

9.4. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 35 დღეზე მეტი ხნით, თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, აღნიშნულის შესახებ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში **2020 წლის 30 დეკემბრიდან** და მოქმედებს **2021 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.**

11. სხვა პირობები

11.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

11.3. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულების“ შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა “ხელშეკრულების” შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

11.5. ყოველი მხარე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს იმ გარემოებების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე: რეორგანიზაცია, რეკვიზიტების შეცვლა, გადახდისუუნარობა ან გადახდისუუნარობის ალბათობა, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვა და სხვა. მხარე, რომელიც არ ატყობინებს ან არადროულად ატყობინებს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.

11.6. „ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად „ხელშეკრულების“ ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა “ხელშეკრულებით” (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

11.7. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.

11.8. მხარეთა მიერ ელ.ფოსტით გაგზავნილ შეტყობინებას აქვს იურიდიული ძალა და სავალდებულოა შესასრულებლად. ელ.ფოსტაზე “შემსყიდველის“ მიერ წერილის/შეტყობინების მიღება უნდა დადასტურდეს ამავე ელ.ფოსტაზე შესაბამისი პასუხით.

11.9. „მიმწოდებელი“ აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

11.10. მხარეები შეეცდებიან ყველა წარმოშობილი დავა და უთანხმოება გადაწყვიტონ ურთიერთ მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ დავა არ გადაწყდება მისი წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, მხარეები იტოვებენ უფლებას თავიანთი ინტერესების დასაცავად მიმართონ საერთო სასამართლოებს.

11.11. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება „მხარეთა“ მიერ მისი გასაჩივრების მიუხედავად, დაუყოვნებლივ შედის ძალაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე–11 პუნქტის შესაბამისად.

12. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და მხარეების მიერ შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, რომელსაც აქვს იურიდიული ძალა.

13. ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს	**შპს „ლაქტალის ჯორჯია“ -ს**
დირექტორი	დირექტორი
ალექსი ზანდარაშვილი	ერეკლე გამყრელიძე

LTD STATE
CATERING SERVICE

დანართი N1

#	საქონლის დასახელება	სპეციფიკაცია	წარმოების ქვეყანა/ მწარმოებელი	რაოდ	განზ.	ერთ. ფასი	მიწოდების პირობა	მიწოდების ადგილი
1	ყველი	თითოეული მოწოდებული პარტია დამზადებული უნდა იყოს ძროხის ნედლი, არააღდგენილი რძისგან (არ უნდა იყოს რძის ფხვნილი). არ უნდა შეიცავდეს მცენარეულ ცხიმს. უნდა იყოს არადამახასიათებელი სუნის და გემოს გარეშე. სინესტის მასური წილი გაუცხიმოებულ ნივთიერებაში 44-54%; მშრალ ნივთიერებაში რძის ცხიმის მასური წილი 45-60 %; მარილიანობა 3.5% -დან არაუმეტეს 7%-სა. პაკეტში წყლის მასური წილი არ უნდა აღემატებოდეს 1.5%-ს (შრატის გამოსვლა). მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის არანაკლებ 90%, მაგრამ არანაკლებ 10 დღე. ყველი დაფასოებული უნდა იყოს ვაკუუმპარკებში 1-6 კგ-მდე (+-15 გრ) (შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად). ყველის ეტიკეტზე მითითებულ უნდა იქნეს წარწერა - „ყველი“. ყველის ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალიზირებული მანქანა-რეფრეჟერატორით (მაცივარი), სადაც უნდა იყოს დაცული ტემპერატურული რეჟიმი, სანიტარულ–ჰიგიენური ნორმები და პირობები.	საქართველო/სანტეჯი-ემ-თი პროდუქტები	1 171,9	კგ	20	მიწოდება განხორციელდება 2020 წლის 30 დეკემბრიდან არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრის 11:00 საათისა	დაბა ვაზიანი
ჯამური ღირებულება						23 438,00		